საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 088/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 03 ივლისს საჩივრით მომართა კ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის მაისში სამართლებრივი დახმარების მიზნით მიმართა შპს ,,---’’-ს დირექტორს გ. ქ.-ს, მისი და მისი მეუღლის დედის საცხოვრებელი ბინების იძულებით აღსრულების შეჩერების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ადვოკატ გ. ქ.-ს აუხსნა მდგომარეობა, მან კი გარანტია მისცა მისთვის სასურველი შედეგის დადგომასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს ჰონორარის სახით, თითოეული ხელშეკრულების შესაბამისად, გადაუხადა 1.000-1.000 აშშ დოლარი. მათ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, საქმის დასრულების შემდეგ, ადვოკატისთვის დამატებით უნდა გადაეხადა 1.000 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას წაკითხვის გარეშე მოაწერა ხელი, ვინაიდან, მათ შორის დადებული ზეპირი შეთანხმების პირობებს ეთანხმებოდა და ადვოკატის მიმართ ჰქონდა ნდობა. ზეპირი შეთანხმებით ადვოკატს აუქციონი უნდა შეეჩერებინა მანამ, სანამ გამოსწორდებოდა კ. ბ.-ის ფინანსური მდგომარეობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატს ხელშეკრულებაში სასურველ შედეგად, საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგანთან დაკავშირებით, იძულებითი აუქციონის არ დანიშვნა (5 თვის ვადით) განუსაზღვრავს, რაც მის ინტერესებში არ შედიოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 23 იანვარს მისი ქონება აუქციონზე იპოთეკარმა ლ. გ.-მ შეისყიდა. მისი განმარტებით, ამავე წლის 14 თებერვალს ლ. გ.-მ სარჩელი აღძრა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, რის გამოც დახმარების თხოვნით კვლავ შპს „---“-ს მიმართა. ამ საქმეზე ადვოკატთან გააფორმა ახალი ხელშეკრულება. ადვოკატმა შეუდგინა შესაგებელი, მაგრამ დოკუმენტში არ იყო მითითებული მისი პოზიცია კონკრეტულ ფაქტებთან და სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამ საქმეზე სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, ადვოკატმა გააუქმა ხელშეკრულება, რის გამოც საჩივრის ავტორი იძულებული გახდა მოეძებნა სხვა ადვოკატი და გასწია დამატებითი ხარჯები.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სხვა საქმეც, რომელზეც ადვოკატმა, ასევე, გაუუქმა ხელშეკრულება, იმ საფუძვლით, რომ გადასახდელი ჰქონდა მომსახურების ღირებულება 400 აშშ დოლარის ოდენობით, მაშინ როდესაც საჩივრის ავტორის განმარტებით ეწურებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2016 წლის 4 თებერვალს და ამავე წლის 21 ივნისს, ადვოკატმა მის მიმართ ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით ხელი მოაწერინა ე.წ „შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე“. მოტყუება გამოიხატა იმ გარემოებით, რომ მას აქტი არ წაუკითხავს. საჩივრის ავტორის განმარტებით, აქტის თანახმად, მისთვის სასურველი შედეგი უკვე იყო დამდგარი, რეალურად კი, ბინა აუქციონზე გაიყიდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, თანხის დაკისრების თაობაზე და ითხოვს 12.000 აშშ დოლარს.

1.9 2019 წლის 18 ივნისის, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატი მუდმივად სთხოვდა თანხის გადაცემას, იმ მიზეზით, რომ

საჩივრის ავტორს თანხა არ ჰქონდა ბოლო დროს ადვოკატმა უძრავი ქონების გადაფორმებაც კი მოსთხოვა, მან კი რა თქმა უნდა უარი უთხრა.

1.10 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატმა განუსაზღვრა ვადა მომსახურების ღირებულების გადახდისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში 15 დღით ადრე გააფრთხილა, რომ ის, შეწყვეტდა მასთან ხელშეკრულებას.

1.11 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან მოგვიანებით შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, ანუ ის მის საქმეზე მონაწილეობას ვერ მიიღებდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ქ.-მა 2019 წლის 21 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ კ. ბ.-ის საჩივარი მის მიმართ არის უსაფუძვლო. თავად საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, კონკრეტულად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ შემსრულებლის შპს ,,---"-ს მიერ დროულად და ხარისხიანად არის შესრულებული სამუშაოები. ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ დამკვეთმა (საჩივრის ავტორმა) აიღო გაწეული სამუშაოების ღირებულების დაფარვის ვალდებულება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე საჩივრის ავტორი ვალდებული იყო დაეფარა ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება, რაც არ შეასრულა. აქედან გამომდინარე, შპს ,,---"-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, კ. ბ.-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორთან დადებული ერთ-ერთი ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი, საჩივრის ავტორის მიერ გადაუხდელი მომსახურების ღირებულება იყო, რის გამოც მისი სათანადო ინფორმირების შემდეგ, შეწყდა ხელშეკრულება.

2.4 2019 წლის 18 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორთან ხელშეკრულება დადებული იყო პირველ ინსტანციაში წარმომადგენლობის თაობაზე, ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა სხდომამდე 16 დღით ადრე, მხარის წერილობით და ზეპირი ფორმით გაფრთხილების საფუძველზე. ამ პერიოდს წინ უძღოდა კლიენტის არაერთი დაპირება, რომ გადაიხდიდა ჰონორარს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტისათვის გარანტია არ მიუცია, რაც დასტურდება ხელშეკრულებით.

2.6 ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს იურიდიული დახმარების ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა კომპანიასთან, შესაბამისად კ. ბ. მისი იურუდიული ფირმის კლიენტი იყო. ხოლო, სამართლებრივ მომსახურებას საჩივრის ავტორს უწევდა არა ადვოკატი გ. ქ., არამედ ამავე კომპანიის სხვა ადვოკატი - დ. კ., რომელსაც აქვს სამოქალაქო საქმის წარმოების სპეციალიზაცია. თავად კი, როგორც კომპანიის დირექტორი, ჩართული იყო მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხებში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 კ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 3 ივნისს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ გ. ქ.-ს არ ჰქონდა უფლება მისი საქმე ეწარმოებია სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; ადვოკატმა მომსახურების ხელშეკრულებაზე და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოაწერინა მოტყუებით - ეს დოკუმენტები არ წაუკითხავს და ამის საფუძველზე ადვოკატი სასამართლოს გზით მისგან ითხოვს ჰონორარს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.1). იმისათვის, რომ საპროცესო კოლეგიამ იმსჯელოს ადვოკატის მხრიდან კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევის ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე, აუცილებელია დადგინდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია შეფასდეს ადვოკატის მხრიდან არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მომსახურების გაწევა.

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება ადვოკატს აკისრია მაშინაც, თუ ადვოკატსა და

კლიენტს შორის არ შედგა შეთანხმება სამართლებრივ მომსახურებაზე, თუმცა ადვოკატმა პოტენციურ კლიენტს მისცა სამართლებრივი რჩევა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მხარეებს შორის, კონსულტაციის გაცემის შემდეგ, ვერ შედგეს შეთანხმება, სამართლებრივი რჩევის მიცემა, როგორც დამოუკიდებელი ქმედება ითვლება საადვოკატო საქმიანობად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2) და ადვოკატს, გარდა კონფიდენციალობისა, ასევე, წარმოეშობა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი რჩევის მიცემის ვალდებულება.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება გ. ქ.-სა და კ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება, რადგან წარმოდგენილი ხელშეკრულებებით, საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის ვალდებულება ეკისრებოდა კომპანიის ადვოკატს - დ. კ.-ს. ასევე ვერ დგინდება ადვოკატ გ. ქ.-ის მხრიდან საჩივრის ავტორისათვის სამართლებრივი რჩევის მიცემის ფაქტი.

5.6 საქმეში წარმოდგენილია 2015 წლის 01 მაისის ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის თაობაზე, ხელშეკრულების მხარეები არიან დამკვეთი - კ. ბ. და შემსრულებელი შპს ,,---“ - წარმოდგენილი დირექტორის, გ. ქ.-ის სახით. ხელშეკრულების საგანია - დამკვეთისათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იპოთეკარებთან წარმოებულ მოლაპარაკებებსა და შესაძლო დავაში - შემსრულებლის ადვოკატების მეშვეობით. კ. ბ. ხელს აწერს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა გვერდს. მხარეთა შორის მეორე ხელშეკრულება გაფორმებულია 2015 წლის 01 ოქტომბერს აღნიშნულ ხელშეკრულებაში იგივეა მხარეები და ხელშეკრულების საგანი. კ. ბ. ხელშეკრულების პირობებს ეთანხმება ხელშეკრულების ყველა გვერდზე ხელმოწერით.

5.7 მხარეთა შორის მესამე ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წლის 09 ნოემბერს, აქ მხარეებს წარმოადგენენ დამკვეთი - ლ. ბ. (საჩივრის ავტორის კ. ბ.-ის მეუღლე) და შემსრულებელი კომპანია, წარმოდგენილი მისი დირექტორის - გ. ქ.-ს სახით. ხელშეკრულების საგანია „დამკვეთისათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე „გამსესხებელთან“ წარმოებულ მოლაპარაკებებსა და სასამართლო დავაში - შემსრულებლის ადვოკატების მეშვეობით.“ ლ. ბ.-სა და კომპანიას შორის მეორე მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 16 მარტს.

5.8 კ. ბ.-სა და კომპანიას შორის კიდევ ერთი მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 22 თებერვალს, სადაც განსხვავებულია ხელშეკრულების საგანი - „დამკვეთისათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ ლეილა გორგილაძის სარჩელთან დაკავშირებით - შემსრულებლის ადვოკატების

მეშვეობით. ხელშეკრულების ყველა გვერდს ხელს აწერს კლიენტი კ. ბ.. მხარეთა შორის 2015 წლის 01 ოქტომბერს, 2016 წლის 04 თებერვალსა და 2016 წლის 21 ივნისს დადებულია შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც მხარეები (კომპანია, წარმოდგენილი დირექტორის - გ. ქ.-ის სახით და კ. ბ.) თანხმდებიან, რომ კომპანიამ შეასრულა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები და დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს შეთანხმებული მომსახურების საფასური.

5.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი გ. ქ. არ უწევდა იურიდიულ მომსახურებას საჩივრის ავტორს. კ. ბ.-სთან მან მომსახურების ხელშეკრულება დადო არა, როგორც ადვოკატმა გ. ქ.-მა, არამედ როგორც კომპანია ,,---"-ს დირექტორმა. იურიდიული ფირმა ვერ იქნება მოპასუხე ეთიკის კომისიაში. დისციპლინური წარმოების მხარეები საპროცესო ეტაპზე არიან საჩივრის ავტორი და მოპასუხე ადვოკატი, და არა იურიდიული ფირმის დირექტორი, რომელიც არ უწევს საჩივრის ავტორს იურიდიულ მომსახურებას. მომსახურების ხელშეკრულების პირველივე პუნქტში, რომელიც ეხება ხელშეკრულების მხარეებს, მითითებულია, რომ კომპანია დამკვეთს მომსახურებას უწევს კომპანიის ადვოკატების მეშვეობით. კ. ბ.-ის საქმეს სამოქალაქო წარმოების კუთხით აწარმოებდა ადვოკატი დ. კ., რომელსაც არც ერთი მხარე არ უარყოფს. ხოლო ადმინისტრაციულ საკითხებში ჩართული იყო გ. ქ. - როგორც კომპანიის დირექტორი.

5.10 საქმის წარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია იყენებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას (1) დისციპლინური დევნის აღძვრის, (2) დისციპლინური დევნის არ აღძვრის ან (3) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე. საპროცესო კოლეგია, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ ადგენს საჩივრის ავტორსა და გ. ქ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობას, რასაც დაუკავშირდებოდა ადვოკატის მხრიდან კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულების წარმოშობა.

5.11 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა) და ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მისცა აღსრულების შეჩერების და მისთვის სასურველი შედეგის დადგომის გარანტია, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

5.13 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ

კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

5.14 გარანტიის მიცემის აკრძალვის ეთიკური ვალდებულება ადვოკატს წარმოეშობა სამართლებრივი მომსახურების გაწევის მომენტიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ დადგინდა. ამასთან, მხარეთა შორის 2015 წლის 01 მაისს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტში მითითებულია, რომ „შემსრულებელს უფლება არ აქვს დამკვეთს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“; იგივე დათქმას შეიცავს 2015 წლის 01 ოქტომბრისა და 2017 წლის 22 თებერვლის მომსახურების ხელშეკრულებების 3.1.7 პუნქტი. შესაბამისად, რადგან ვერ დგინდება ადვოკატ გ. ქ.-სა და კ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, შეუძლებელია საპროცესო კოლეგიამ იმსჯელოს ადვოკატის მხრიდან შედეგზე გარანტიის მიცემის აკრძალვის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე, რის გამოც ამ ნაწილშიც არ უნდა აღიძრას დევნა ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ.

5.15 საპროცესო კოლეგიამ, საჩივრის ავტორის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასევე იმსჯელა ადვოკატის მხრიდან დაცვის უფლების გარეშე დატოვების ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე.

5.15.1 ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

5.16 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დაცვის უფლების გარეშე დატოვება ერთ-ერთი უმძიმესი ეთიკური გადაცდომაა, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს კლიენტის ინტერესებს და ზოგადად, ადვოკატის პროფესიას. ადვოკატმა, მისი როლიდან გამომდინარე, ყველა კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ კლიენტი არ დარჩეს დაცვის უფლების მიღმა. თუმცა, საპროცესო კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ დაცვის უფლების გარეშე დატოვების აკრძალვის ვალდებულება ადვოკატს მას მერე წარმოეშობა, რაც დაიწყება მასსა და კლიენტს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

5.17 მოცემულ შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დადგინა გ. ქ.-სა და საჩივრის ავტორს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობა. ამდენად, დაცვის

უფლების გარეშე დატოვების აკრძალვის ეთიკური ვალდებულება ვერ ჩაითვლება დარღვეულად ადვოკატ გ. ქ.-ის მხრიდან.

5.18 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ვერ დასტურდება ადვოკატ გ. ქ.-ის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლით, ეთიკის კოდექსის 8.5, 8.3, 8.7 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა მოცემული საჩივრის ფარგლებში, ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ.

5.19 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N088/19 ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/